თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2017 წლის 06 ნოემბრის სხდომა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს,

კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტისა და კანდიდატისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს არსებობა არის მნიშვნელოვანი, და

რეკომენდაციით მიმართავს

საარჩევნო ადმინისტრაციას, რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს:

ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების თავისუფალ, მშვიდ და სამართლიან გარემოში უზრუნველსაყოფად თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერების არჩევნების 2017 წლის 12 ნოემბერს დაგეგმილი მეორე ტურის კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში უზრუნველყონ ე.წ. სამაგიდო სიების არასათანადო გამოყენებისგან დაცულობა. კერძოდ, უზრუნველყონ, არ მოხდეს ამ სიებიდან ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, პირადი ინფორმაციის გამოთხოვა იმის გამოსარკვევად, მიიღო თუ არა მოცემულმა ამომრჩეველმა არჩევნებში მონაწილეობა. სამაგიდო სიების ამგვარი გამოყენება საფრთხეს უქმნის კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დაცულობას და ამომრჩეველთა უბანზე მოყვანის მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს.